1877—1899

№ 142

ოთხშაბათი, 7 ივლისი, 1899 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

# ივერია

№ 142

ოთხშაბათი, 7 ივლისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიის
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.** (30—78—25)

## ქართულის დრამატიულ საზოგადოების გამგეობა

1—15 ენკენისთვემდე გამართავს **გამოსაცდელ წარმოდგენებს** იმათთვის, რომელთაც სურთ ქართულ სცენაზე მოღვაწეობა, ამისათვის საზ. გამგეობა სთხოვს მათ განაცხადონ თავისი სურვილი 1 ენკენისთვემდე. შემდეგ გამოცდისა გამგეობა მოწონებულთ მოიწვევს თავის დასში დამდეგის ეზონისათვის. (5—1)

ქართულმა დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ
**რეპერტუარის განსაახლებლად** დანიშნა პიესებისათვის

## სამი პრემია: 120, 80 და 50 მანეთი

ხოლო გადმოკეთებულ პიესებისათვის **50, 30 და 20** მან.

ამისათვის მოიწვევს ქართველ მწერლებს წარმოადგინონ თავიანთი დრამატიული ნაწარმოებნი, რომლებიც განხილული იქნებიან გამგეობისა და მის მიერ მოწვეულის პირების თანდასწრებით და საუკეთესო პიესებს დაენიშნება ღირსების დაგვარად ზემოხსენებული პრემია.

პიესები უნდა გამოიგზავნოს გამგეობის სახელზე არა უგვიანეს 15 ენკენისთვემდე და ავტორებისაგან ხელმოუწერელნი უნდა იყვნენ, ხოლო სახელი და გვარი ცალკე დაბეჭდილს კონვერტში უნდა იყოს მოხსენებული და ეს კონვერტი პიესასთან ერთად წარმოდგენილი. (6—1)

შაბათს, 10 მკათათვეს, საღამოს 8 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

## „შუამავალი"-ს ამხანაგობის საგანგებო საზოგადო კრების

გაგრძელება

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (4—6.—1)

### პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** $7^1/_2$—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

### მთავრობის განკარგულებანი.

დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგან თავისისავე თხოვნით ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელე გიორგი ციმაკურიძე.

## ახალი ამბავი

*** 5 ივნისს ქაშვეთის ეკკლესიაში ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ გარდაიხადეს წირვა და პანაშვიდი მემკვიდრე ცესარევიჩის დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად.

*** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა განკარგულება მოახდინა, რომ ცესარევიჩის და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნას პანაშვიდები ყველა საშუალო და დაბალ სასწავლებელში.

*** მემკვიდრე ცესარევიჩის გვამი წაასვენეს სასახლიდგან ეკკლესიაში გუშინ, 6 ივლისს, ხოლო ბორჯომში გამოასვენებენ დღეს, 7 ივლისს, დილის ოთხ საათზედ.

*** 5 ივლისს აბასთუმანს მოვიდნენ გენერლები ამილახვარი და ამირაჯიბი.

*** ტფილისის ამქრებს ნება მიეცათ დაესწრნენ ბორჯომში 7 ივლისს.

*** სამკურნალო გამგეობამ ბრძანება მისცა სამაზრო და საპოლიციო გამგეობათ, და აგრეთვე მაზრისა და ქალაქის მკურნალთ: სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა დათვალიერების დროს მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება იმას, რომ სასმელ-საჭმელი მზადდებოდეს მოკალულსა და სუფთა ჭურჭელში და აეკრძალოთ ვაჭრებს საჭმლების (კალბასის, ყველის, ხიზილალის და სხ.) ტყვიის ქაღალდში გახვევა. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, სამართალში იქმნება მიცემული.

*** ოზურგეთში დაუარსებიათ ახალი ამხანაგობა სახელწოდებით „შრომა და კაპიტალი." საწევრო გადასახადი 20 მან., წევრად ჩაწერა შეუძლიან ქალსაც ხნოვანებით არა ნაკლებ 25 წლისას. საზოგადოებას საგნად აქვს გახსნას მაღაზიები და გაჰყიდოს უსაჭიროესი საქონელი ყველასათვის ხელ-მისაწვდომ ფასად.

*** სამის დღის განმავლობაში, 6—8 ივნისს, აბასთუმანს და ბორჯომს შუა შეჩერდება საფოსტო ეტლების მიმოსვლა; შეჩერდება ფოსტის გაგზავნაც.

*** ტფილისის საგუბერნიო ადმინისტრაციამ ამ ჟამად დაამთავრა ამიერ-კავკასიის საერო გარდასახადთა ხარჯთ აღრიცხვისა და გაწერის პროექტების შედგენა მომავალ სამის წლისათვის. ეს პროექტები, როგორც ისმის, უკვე გარდაეცა განსახილველად კავკასიის უმაღლეს მთავრობას.

*** 5 ივლისს პეტერბურგიდგან აბასთუმანში მივიდნენ: გენ.-ად. გრაფი ოლსუფიევი და თავ. დოლგორუკი, მისი უდიდებულესობის მხლებელნი გენ.-მაიორი კონიარი, თავ. ურუსოვი, კამერ-გერები გრაფი მუსინ-პუშკინი და თავ. მაღალაშვილი, ფლიგელ ადიუტანტები გრაფი შერემეტიევი და თავ. დოლგორუკი, გენერალი ანიჩკოვი, კამერ-იუნკერები გრაფი ტოლსტოი და ხიტროვო, დეკანოზი სტრახოვი ჩი კარის სამღვდელოებით.

*** 5 ივლისს, ქ. ტფილისის დეპუტაციამ აბასთუმანში ვერცხლის გვირგვინით შეამკო მემკვიდრე ცესარევიჩის კუბო და ჯვართან პანაშვიდი გარდაიხადა. ვერცხლისავე გვირგვინით შეამკო კუბო ქ. ახალციხის დეპუტაციამ.

*** როგორც შევიტყეთ რუსულ ჟურნალ „Жизнь"-ის ერთ ერთ მახლობელ ნომერში დაიბეჭდება პროფესორის ალ. ხახანაშვილის წერილი შემდეგის სათაურით „Бытъ грузинскаго народа по произведеніямъ Екатерины Габашвили." ხსენებულ ჟურნალის რედაქციას უკვე მიუწონებია წერილი დასაბეჭდად.

*** ტფილისის გუბერნატორმა აბასთუმნიდგან დეპეშით შეატყობინა ქალაქის მოურავის მოადგილეს, რომ საბჭოს დადგენილება ცხენის რკინის გზის საწარმოოდ კონცესიონერთა გამოწვევის შესახებ და კონცესიის პროექტის უმთავრესი პირობები დამტკიცებულ იქნა საგუბერნიო ადმინისტრაციის მიერ. ამის გამო ქალაქის გამგეობის განკარგულებით, დაგზავნილ იქმნა განცხადებანი როგორც ადგილობრივს, ისე სატახტო ქალაქებისა და საზღვარგარეთის გაზეთებში კონცესიონერთა გამოწვევის შესახებ.

*** ბაქოს გუბერნიის სოფ. გუსარში შემდეგი გულის შემზარავი ამბავი მოხდა: ვიღაც ბოროტ-მოქმედებს მოუკლავთ 60 წლის ცოლ-ქმარი მათს საკუთარს სახლში; ხოლო მკვლელობის შემდეგ დაუწვავთ სახლი და დამალულან. ამ გარემოებას ისე დაუფრთხია ადგილობრივი მცხოვრებნი, რომ მზის ჩასვლის წინ ყველანი სახლებში იკეტებიან და ქუჩაში აღარავინ ჩანს. („სხ. მიმ.").

*** ტფილისის ქალაქის გამგეობამ ამ დღეებში წინადადება მისცა ცხენის

---

# ფელეტონი

### ზამთრის ღამე

(მოთხრობა ოარეე შკოსი)

ჯერ კიდევ საღამო ხანი იყო, მაგრამ სიბნელე ძალზე ჩამოსწოლოდა არე-მარეს. ღრუბლიან ცაზედ არც ერთი ვარსკვლავი არ მოსჩანდა.

ქარი თავისუფლად ზუზუნებდა მთა-გორით შემოფარგლულს ხეობაში, რომლის ძირშიაც მიიკლაკნებოდა ნაპირებ-შეყინული მდინარე. ერთ გორაკზედ მოჩანდა სოფელი, რომლის სახლების ფანჯრებიდგან სინათლე აშუქებდა.

მდინარის პირად ბილიკით მიდიოდა მაგარს მუჯუროზედ *) დაბჯენილი ვიღაცა მგზავრი; მიდიოდა აუჩქარებლად; ხან-და-ხან შეჩერდებოდა თითქოს რაღასაც უკვირდებაო, შეაშტერებდა თვალებს ფანჯრებიდგან მოციმციმე სინათლეს. გულიდგან გულ-საკლავი ოხვრა ამოსკდებოდა და მერე ისევ აუჩქარებლად გაუდგებოდა გზას.

მიაღწია გორაკსაც, ავიდა მგზავრი სოფელში და სოფლის ბოლოს, გზის პირას, ერთის სახლის წინ შეჩერდა.

—

სახლი, რომლის წინაც შესდგა მგზავრი, ეკუთვნოდა მოხუცს გლეხს სიმონ ბორტნიკს.

ამ საღამოს ეს მოხუცი იჯდა სკამზედ და თავისის განიერის ბეჭებით მიჰყრდნობოდა გაბოლილს კედელს. ერთი ხელი უბეში ჩაედო და მეორეში-კი ჩიბუხი ეჭირა, ხელები ძარღვიანი და ღონიერი ჰქონდა. სიმონი იქნებოდა ასე სამოც წელს გადაცილებული. თუთუნის კვამლი ღრუბელსავით გადაეფარებოდა ხოლმე მის მოტიტვლებულს თავს და დრო-ჟამისაგან დაღარულს სახეს, რომელსაც აცხოველებდა ჭკვიანი და გამომეტყველი თვალები; იგი მედიდურად და მრისხანედ გამოიყურებოდა... ადვილად შესამჩნევი იყო, რომ მოხუცი გავლენიანი უფროსი უნდა ყოფილიყო თავისს ოჯახში... როდესაც ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკსა, სუყველანი მოწიწებით, სულ-განაბულნი უგდებდნენ ყურს.

ამ ჟამად-კი ყველას ყურადღება დაეპყრო ახლად მისულს ყმაწვილ-კაცს და არა მოხუცს. თითონ ეს მოხუციც და სხვანიც, რომელთა რიცხვი საკმაოდ იყო ამ ოჯახში, სმენად იყვნენ გადაქცეულნი... ზოგი იჯდა და ისე უსმენდნენ მოსაუბრეს... ერთის სიტყვით, ვისთვისაც როგორ მოესწრო ამ ყმაწვილ-კაცის მოთხრობას, იმ მდგომარეობაში დარჩენილიყო.

სიმონის უფროსი შვილი, კასრების მკეთებელი ორმოცის წლის კაცი, იჯდა და დანით გაჩქარებით კასრის რგოლსა სთლიდა, მუშაობა შეაჩერა და ყურს უგდებდა მოთხრობას; იმისი ცოლი კატო კერასთან იდგა, ცეცხლს გუგუნი გაჰქონდა და მთელს ოთახს შუქსა ჰფენდა; აქავე მახლობლად ჯარას უჯდა სიმონის ქალი—ანიკო. ანიკო არ ართავდა, მისი ერთი ხელი შერჩენოდა ჯარას ტარსა და მეორე გაუნძრევლად თითის-ტართან ეჭირა, მოსაუბრეს თითქოს მოუჯადოვებიაო ეს ქალი თავისის მოთხრობით. ყურს უგდებდა აგრეთვე სიმონის მოხუცი, წელში წახრილი ქვრივი და ბარბარე, რომელიც ჩამომჯდარიყო მოპირქვავებულ გეჯაზედ და თავისის ჩამოფიჩხებულის ხელებით ცხრილზედ კარტოფილსა ჰფცქვნიდა; ფანჯარასთან მეკასრის პირდაპირ იდგა შავგვრემანი პატარძალი, რომელიც მკლავებზედ არწევდა თავის ოთხის თვის ბავშვს, ეს იყო სიმონის მეორე შვილის ცოლი. მეკასრის უკან იჯდა მისი თხუთმეტის წლის ვაჟი იაკობი, რომლის ცოცხალი თვალები საყვარლად გამოიცქირებოდა. იაკობს მუხლზედ ედო ძაფის გორგალი და აქა იქა გამოგლეჯილ ბადეს აკერებდა.

მოსაუბრე იყო სიმონის მეორე ვაჟი—ანტონი, მაღალის ტანის კაცი, ასე ოც-და-ათის წლისა. მისი ყინვისაგან გაწითლებული ლოყები ამტკიცებდა, რომ ეს ახლად მოსული იყო; ჯერ ტყაპუჭი არ გაეხადნა და მათრახიც ისევ ხელში ეჭირა...

— ღმერთმანი, მართალია! ამბობდა იგი აღტაცებით. ქალაქში, სულ ბეკის შესახებ ლაპარაკობენ, მეტი სალაპარაკო აღარა აქვსთ-რა...

*) მუჯურო რკინის ბოლოიანი ჯოხია.

რკინის გზათა უსახელო საზოგადოების დირექტორს, რომ უკანასკნელ ვაგონის გასვლა ერევნის მოედნიდგან დანიშნულ იქმნას არა ღამის 11 საათსა და 30 წუთზედ, არამედ 12 საათზედაო, მაგრამ საზოგადოების დირექტორი რობი არ დასთანხმდა ამაზედ და განუცხადა გამგეობას, რომ მიმოსვლის არსებული წეს-რიგის შეცვლა ცხენის რკინის გზაზედ ყოვლად შეუძლებელიაო.

*** სიღნაღის მაზრის სოფ. კარდანახში დანიშნულია ვაზის წამლობის კონკურსი.

*** დღეს ბორჯომიდგან ორი საგანგებო მატარებელი გაიგზავნება ბათუმს. პირველი მატარებელი გავა საღამოს 8 საათზედ და მივა მეორე დღეს დილის 8 საათზედ ბათუმის ნავთ სადგურზედ.

*** 5 ივლისისათვის დანიშნული სხდომა ქალაქის საბჭოსი, ქალაქის მოურავის მოადგილის აბასთუმანს წასვლის გამო, გადადებულ იქმნა მომავალ კვირისათვის.

## წერილი დუშეთის მაზრიდგან

ამ უკანასკნელ დროს სამკურნალო განყოფილებამ აღძრა კითხვა: გადმოვიტანოთ ახალ-გორიდგან ქსენონი, თუ იქავე დავტოვოთო. თუ გადმოვიტანთ, რომელ სოფელშიო. ამ კითხვის გარდაწყვეტა მიანდო სამკურნალო განყოფილობამ დუშეთის მაზრის უფროსს. ბ-ნმა კისკარაშვილმა (მმართველმა დ. მ.) განიხილა ეს კითხვა და თავის მხრივ არჩია ქსენონის მოსათავსებლად ს. წილკანი შემდეგის მოსაზრებით: ჯერ ერთი, ახალგორის ახლო-მახლო მცხოვრებნი მთიელნი არიან და მაშასადამე, როგორც მთებში მცხოვრებნი უკეთესს პირობებში არიან ჰავის მხრივ, რის გამოც აგრე ხშირად არა ხდებიან ავად. სულ სხვაა სოფელ წილკანის და მის ახლო მდებარე სოფლების ჰავაო. მომეტებული სოფლები დაბლობებშია, ჭაობიან ადგილებში, რის გამოც, ნამეტნავად ზაფხულობით, ისე ოჯახი არ იქმნება, რომ ერთი და ორი ავადმყოფი არა ჰყვანდესო *). მეორე საბუთად კიდევ ის დაასახელა, რომ ს. ახალგორს გარს ახვევია 700 კომლი—ს. წილკანს-კი—3,600 კომლიო. მაშასადამე—უმატებს ბ-ნი ცისკარაშვილი სამართლიანად—უმეტესობას უპირატესობა უნდა მიეცესო.

*) 1897 წ. მარტო ყვავილით ს. წილკანში გარდაიცვალა 60 ბავშვი.

ორიშინი

რასაკვირველია, ახალგორის მცხოვრებთ (80 კომლია. მათ შორის ორი თუ სამი კომლია ქართველი მემამულე. დანარჩენი-კი სულ ჰაისტანის ჩარჩ-ვაჭრები არიან) არ ესიამოვნებოდათ მაზრის მმართველის ასეთი დასკვნა და ამისათვის გააბეს ჩვეულებრივი ქსელი...

დღევანდლამდის ახალგორის ქსენონს სამკურნალო განყოფილება ინახავდა თავის ხარჯით; მკურნალი, ფერშლები, წამალი, ქსენონის ოთახები ყოველივე ეს უსასყიდლო იყო; ახალგორი და მის ახლო-მახლო სოფლები არას იხდიდნენ. დღეს-კი ზემოხსენებულ ჩარჩ-ვაჭრებმა ახალგორის ახლო მახლო სოფლები შეაგულიანეს და ქსენონს აღუთქვეს უსასყიდლოდ ქსენონისათვის სახლის დათმობა და, მგონი, სამკურნალო ნივთიერებაც. სოფელ წილკანმა-კი აღუთქვა (მარტო წილკანმა) უსასყიდლოდ შესაფერ სახლის აშენება, თუ მთავრობა სესხად 2,000 მან. მისცემს მათსავე ფულს სამეურნეო თანხიდგან, იმ პირობით, რომ ხუთი წლის განმავლობაში გარდაიხადოს სესხი.

როგორც ისმის, ამ თანხიდგან ამ საგნისთვის ნებას არ მისცემენო და, მაშასადამე, ს. წილკანს არ შეეძლება უსასყიდლოდ სახლის დათმობა. მაშ ბურთი და მოედანი ისევ ახალგორს დარჩება, ე. ი. ჩარჩ-ვაჭრებს. ქსენონის სახლისა და სამკურნალო ნივთიერების სასყიდელს გარდიხდის 700 კომლი და 80 კომლი ჩარჩ-ვაჭარი-კი ისარგებლებს ქსენონით... 3,600 კომლი-კი, რომელნიც უფრო ჰსაჭიროებენ, ისე დარჩება. მკითხველი იტყვის: „თუ-კი 700 კომლს შეუძლიან ქსენონის სახლი მუქთად მისცეს და სამკურნალო ნივთიერების სასყიდელიც იხადოს, რატომ 3,600 კომლს არ შეუძლიან უკეთესი პირობები დაუდოს?..“ო. პირველი შეხედულობით საბუთიანი კითხვაა და თუ გარემოებანი გავითვალისწინეთ, მაშინ სულ სხვა იქმნება, სულ სხვა ნაირ დასკვნამდის მივა შეგნებული ადამიანი.

ს. ახალგორს ახვევია გარს მრავალი სოფელი. მცხოვრებნი ცხადად ჰხედვენ, რომ ს. ახალგორი ყველა სოფელზედ დიდია, რადგანაც ახლოგორის ახლო-მახლო სოფლები იშვიათად თუ 12 კომლს აღემატოს. ს. ახალგორში-კი 80 კომლია, როგორც ზევით აღვნიშნეთ. აქ მოიპოვება დუქან-ბაზარი. სხვა სოფლებში-კი არსად.

სულ სხვა გარემოებაშია ს. წილკანი და მისი ახლო-მახლო სოფლები. წილკანისთანა მრავალ-კომლიანი სოფელი ბევრია, როგორც მაგალითად, მუხრანი, ძალისი, მცხეთა, ნატახტარი და სხ. მრავალი.

რადგანაც ნება-ყოფლობაზედ არის მინდობილი ამ საგნისთვის ფულის გაღება, ყოველი მრავალ-კომლიანი სოფელი ამას გაიძახის: „თუ-კი ფულს გადამახდევინებენ, ს. წილკანში აშენებას ისევ ჩემ სოფელში ავაშენებო“!..

როგორც მოგეხსენებათ, სოფლის „პატრიოტობა“ ჩვენ სოფლებში ძალიან გავრცელებულია და ამისათვის ძნელია ყველა სოფლების შეთანხმება. არც გასამტყუნარები არიან ეს სოფლები, რომლებიც საზოგადო მნიშვნელობას ვერ მიხვედრიან. ანკი როგორ გაამტყუნებ ამ გაუნათლებელთ, როდესაც განათლებულებიც-კი ვერ მიხვდრილან საზოგადო მნიშვნელობას და, სამწუხაროდ, სოფლის პატრიოტობას გაუტაცნიათ, როგორც პატივცემულ „ივერიის“ ერთი ახალგორელი კორესპონდენტი. ამას წინად, არ მახსოვს-კი რა თვეში, ახალგორიდგან ამ საგნის შესახებ იერემია წინასწარმეტყველისავით მოსთქვამდა გოდებას და ახალგორის ქსენონის მკურნალს—ბ-ნ ბროძელს აქეზებდა, რომ იგი დაჰპატრონებოდა ახალგორს, დაევიწყა უმრავლესობის გაჭირვება და სცდილიყო, სადაც ჯერ არს, ქსენონი ახალგორშივე დაეტოვებინა...

დაბეჯითებით ამბობენ, ზემოხსენებულ ახალგორელ კორესპონდენტის გოდებამ და ჩარჩ-ვაჭრების ქსელმა გასჭრაო.

როგორც ჰხედავ, მკითხველო, უპირატესობა მცირედს ეძლევა. რად?.. ამის პასუხს ვერც შენ და ვერც მე ვერ მივცემთ.

თუ-კი აქამდის ქსენონის ხარჯს სამკურნალო განყოფილება ჰკისრულობდა, ეხლა რაღამ აიძულა, ხალხს გადააბერტყოს ეს ხარჯი, რომელიც ისეც ბევრ ხარჯს სწევს?.. მთელ დუშეთის მაზრაში მცხოვრებზედ, რომელიც 90,000 სულზედ მეტია და რომელიც, სახელმწიფო გარდასახადის გარდა, საერო გარდასახადსაც იხდის, ერთად-ერთი ქსენონია, ისიც უადგილო ადგილას მოთავსებული და კიდევ იმის ხარჯიც ხალხს უნდა მოახვიოს...

ორიშინი

## გორის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა კრების შუამდგომლობის გამო.

„ივერიის“ 133 №-ში მოხსენებული იყო, რომ გორის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა ყრილობამ აღძრა საქართველოს ეგზარხოსის ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს წინაშე შუამდგომლობა, რომ წმინდა სანთლის საწყობებში მოისპოს სანთლის გაყიდვა კერძო პირებზედ და ან იმათაც იმ ფასად მიეცეთ, როგორც ეკკლესიებში იყიდება. მაშინ ყველანი ეკკლესიებში იყიდიან სანთელს და ამით ეკკლესიების შემოსავალი იმატებსო.

მართალია, ამ საშუალებით ეკკლესიების შემოსავალი იმატებს, მაგრამ წმინდა სანთელი-კი ბევრით იმაზედ ნაკლები გაიყიდება, ვიდრე ეხლა, და ეს პირდაპირ ზარალს მისცემს სანთლის ქარხანას. ჩვენში ძალიან ცოტაა ისეთი ბედნიერი, რომლისთვისაც სულ ერთია ამა თუ იმ საჭირო საგნის გაძვირება. ვთქვათ, მე ვხმარობდი გირვანქა ოთხ კაპეიკიან პურს. გაძვირდა პური. ჩემი ჯიბე ვერ აიტანს ამ ხარჯს. მე ძალა-უნებურად ურიგდები ბედსა და ვიწყებ დაბალის ხარისხის პურის ხმარებას, რომელიც ისევ ოთხი კაპეიკი ღირს. ასევე ითქმის ყველა საჭირო საგანზედ. წმინდა სანთელი ყველა ოჯახისათვის შეადგენს უსაჭიროესს საგანს და არავის უნდა გაუჭიროთ მისი უხვად ხმარება. მე ვიცნობ რამდენსამე ოჯახს, რომლებიც სანთლის გაძვირებამდის „კვირაძლის“ სანთლად თეთრ სანთელს ხმარობდნენ. გაძვირდა სანთელი და იმათ ყვითელის სანთლის ხმარება დაიწყეს, ე. ი. სანთელში ჰხარჯავდნენ ისევ იმდენ ფულს, რამდენსაც წინად. კიდევ უფრო რომ გაძვირდეს სანთელი, შეიძლება ბევრმა ცვილის ყიდვა დაიწყოს და სანთელი შინ ჩამოქნას. შინ გაკეთებულ სანთლის ეკკლესიებში მიტანას თუ დაუშლით, მაშინ ვაი თუ უფრო არა სასურველი შედეგი მოჰყვეს... აგერ ორი წელიწადია, რაც წმინდა სანთელი შეძვირდა, მაგრამ ამას აქამდისაც ვერ შეეჩვია ხალხი; ხშირად უკმაყოფილებასაც აცხადებენ, რატო უქაღალდოდ არ გვიწონაო სანთელსაო. წესდების ძალით კი ფუთ სანთელს უნდა გაჰყვეს ორი გირვანქა და ერი ნათხალი ქაღალდი.*)

სანთლის საწყობებში კერძო კაცებზედ სანთლის მიყიდვის მოსპობას ან გაძვირებას ემჯობინება მღვდლებმა ნელ-ნელა შეაჩვიონ მრევლი ეკკლესიებში სანთლის ყიდვას და გარდაჩვიონ საწყობებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახს ეჭირვება ბევრი სანთელი, მაგალითად მიცვალებულის დროს.

მღვდლებმა უნდა გააცნონ ხალხს წმინდა სანთლის ხმარების მნიშვნელობა, აუხსნან, რასა ჰხმარდება სანთლის შემოსავალი, და ჩააგონონ, რომ წმინდა სანთლის ნამწვიც ისეთივე შემოსავალია ეკკლესიისთვის, როგორც ფული,—როცა ხალხი ყველა ამას გაიგებს და დაინახავს რამდენად დამოკიდებულია ეკკლესიის გამშვენიერება სანთლის შემოსავალზედ, რომ ეს ფული სასულიერო სასწავლებლებს გარდა ჰხმარდება თვით მის სამრევლო სკოლებსაც, მაშინ ისიც ჯერ ამოჰკვეთავს საწყობში ნაყიდს სანთლის ეკკლესიაში მიტანას და მერე ის მაინც, ვისაც ხელი მიუწვდება, საშინაო სახმარ წმინდა სანთელსაც ეკკლესიაში შეიძენს. ბოლოს ისე შემცირდება საწყობებში კერძო კაცებისაგან სანთლის ყიდვა, რომ სათქმელადაც არ ეღირება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ბევრს ჩვეულებად არა აქვს ეკკლესიაში ნაყიდ სანთლის შინ წაღება: ჰგონიათ წმიდანებს არ ესიამოვნებათ ეკკლესიიდგან სანთლის დაბრუნებაო.

ეკკლესიის კრებულმა ისე უნდა მოაწყოს საქმე, რომ მრევლს ყოველთვის შეეძლოს სანთლის ყიდვა და არა მარტო წირვა-ლოცვის დროს. რომელ სოფელშიაც ეკკლესია არ არის, ემჯობინება, მღვდელმა ვინმე კეთილ საიმედო კაცს ჩააბაროს გასასყიდი სანთელი.

მღვდლებმა სასტიკად უნდა ადევნონ თვალ-ყური იმათ, რომლებსაც

*) გასულ წელს თელავის წმინდა სანთლის საწყობში ქაღალდის ფასი შემოვიდა 225 მანათი.

---

ზოგი რას ამბობს და ზოგი რას... დაჭერას კი ვერავინ ჰბედავს. ამბობენ, ვითომც ეს ის ბეკია, რომელსაც ერთხელ სამი კაცი გაუძარცვავს, ორი ურია და ერთიც დედაკაცი მოუკლავს. მაშინ დაუჭერიათ... თურმე ნუ იტყვით, იმას წინადაც სხვა-და-სხვა ალაგას ბევრი რამ ჩაუდენია: ქურდობა, ყალბის ფულის ძოჭრა და სხვა. სულ უწინ თურმე კაცის კვლას ვერა ჰბედავდა და ეხლა ისიც დაუწყია. რამდენისამე წლის წინად დაუჭერიათ და გადაუწყვეტიათ საუკუნოთ ციმბირში გაგზავნა... ციხიდგან გაქცეულა და კარგა ხანს თურმე იმალებოდა. ბოლოს სადღაც ქარხანაში შესულა მუშად და სხვისი სახელით რამდენსამე წელიწადს უმუშავნია; ბოლოს მისი ვინაობა რომ გაუგიათ, დაუჭერიათ და გაუგზავნიათ შორეულს ციმბირში, თითქმის ქვეყნის განაპირას, რომ მოსვლა ფიქრადაც აღარ მოსვლოდა. თურმე იქიდგანაც მოახერხა გამოპარვა.

— ციმბირიდგან გამოიპარა?—გამოიღო პირიდგან სიმონმა ჩიბუხი და იკითხა..

— ჰო, ციმბირიდგან. იქ კარგა ხანს ყოფილა, ბევრი ვაი-ვაგლახი უნახავს და ბოლოს, მოთმინებიდგან რომ გამოსულა, გარდაუწერია პირჯვარი და გამოსდგომია გზას... მაშინვე ქაღალდები გაჰგზავნეს თურმე სუყველგან, აცნობებდნენ: „ესა და ეს კაცი გამოიქცა ციმბირიდგან და ყველა ვალდებულია მონახოს და დაიჭიროსო“... ბევრი ეძებეს თურმე, ბოლოს, ილაჯი რომ გაუწყდათ, თავი დაანებეს... ახლა-კი მოულოდნელად, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, საიდგანღაც გამოცხადებულა.

— მართლა? წამოიძახა შეშინებულმა ანიკომ.

მოხუცებულ ბარბარეს შიშისაგან რამდენსამე ხანს პირი ღია დარჩა.

— მერე, დაიჭირეს თუ არა? ჰკითხა მეკასრემ.

— დაიჭირეს; მუშებთან ქარხანაში კიდევ სხვისის სახელით ჰმუშაობდა და მიუხვდნენ; დაიჭირეს და ციხეში ჩააგდეს... აბა ერთი მითხარით, სულელი ხომ არ იყო, იქ თავი ჩაეღუპო! ადგა და გამოიქცა..

— რა ეშმაკი ყოფილა!

იმ შენიშვნის გაგონებაზედ, ზოგს გაეცინა, ზოგი გაჩუმდა, სიმონმა-კი წარბები შეიჭმუხნა....

— ჰმ! ანტონ! ხომ არ სტყუი? იქნება იმიტომ მოიგონე ეგენი, რომ დედაკაცები შეგეშინებინა? ჩაეკითხა მამა შვილს.

ანტონს ეწყინა და აღელვებულმა მიუგო:

— თუ ვტყუი, სოფლის მწერალიც სტყუის: იმან მითხრა, სოფლის კანცელარიაში ქაღალდია გაკრული და ხალხს აუწყებს:

„დაჭერილი იყო და გაიქცაო!“ მწერალმაც აი რა მითხრა: „ის ჯერ შორს წასვლას ვერ მოასწრებდა, უნდა მოვნახოთ და დავიჭიროთ, უეჭველად უნდა მოვნახოთ, თორემ ბევრს უბედურებას შეგვამთხვევს: დაიწყებს ეხლა ავაზაკობას, ძარცვას!.., თუ კი როგორმე დავიჭირეთ, მალე უკრამენ თავს ციმბირში და ციმბირამდის-კი მაგარ ბორკილს გაუყრიან ფეხებში...

დიდი ხნის სიჩუმე ჩამოვარდა, კრინტი აღარავის დაუძრავს...

სიმონმა გამოჰბერტყა თავისი ჩიბუხი და სთქვა:

— ახია იმაზედ! ასე უნდათ მაგათთანა მაწანწალებს, რომ აღარ შეაწუხონ ხალხი, აღარ წაართვან საწყალ ხალხს მათი ნაშრომ-ნადაგი და აღარ დაღვარონ უმანკო სისხლი... არა, რას გვერჩიან? დიახ! ჩვენ პატრონობა და მფარველობა გვინდა და არა მაგათთანა მტაცებლები!... ახია, ახი!!

სთქვა ეს სიტყვა მკვახედ, მედიდურად და გადაავლო თვალი: დას, შვილებს, რძლებს და შვილიშვილებს.

სუყველამ ხმა გაკმინდა. ჩვეულებად ჰქონდათ ამ ოჯახში: როდესაც ეს მოხუცი მამა წარმოსთქვამდა რაიმე აზრს, შებაასება ყოვლად შეუძლებელი იყო, თქმა და საქმის გადაწყვეტა ერთი იყო.

ანტონი ადგა. მივიდა ცოლთან და თავზედ ხელი გადუსვა თავის პაწაწა ვაჟს, რომელსაც დედის მკლავზედ დასძინებოდა. მეკასრე მუშაობას შეუდგა, ანიკომაც თავისი ჯარა აახრიალა... ბარბარემ ცეცხლიდგან ქოთანი გადმოდგა..

ნ. მღვდლისშვილისა

(შემდეგი იქნება)

...ბარიათ სანთლის გაყიდვა. თუ გამყიდველმა მოინდომა, შეუძლიან უღალატოს ეკკლესიას და თავისი ვული ასარგებლოს. იქნება ამ ნაირი ღალატითა და დაუდევრობით ხდებოდეს ის მოვლენა, რომ მთელის წლის განმავლობაში ზოგ ეკკლესიაში ერთი გირვანქა წმინდა სანთელი ძლივს იყიდება. გადადის მღვდელი სხვა სამრევლოში და მისი მოადგილე ერთი ათად და ოცად მეტ სანთელს იბარებს...

ბლაღოჩინებმა უნდა მთავრობის ყურადღება მიაქციონ იმ მღვდლებს, რომლებიც თავს გამოიჩენენ წმინდა სანთლის გასყიდვაში და სასტიკად გამოიძიონ, რა მიზეზია, რომ ამა თუ იმ ეკკლესიაში თითქმის სრულიად არ იწერება სანთლის შემოსავალი.

თელავის წმინდა სანთლის საწყობის გამგე კომიტეტმაც გადასწყვიტა ყოველ წელს წარუდგინოს საქართველოს ექსარხოსს ყოვლად სამღვდელო ფლაბიანეს ცნობა, რომელ ეკკლესიისთვის რამდენი წმინდა სანთელი დაუბარებია კრებულს.*)

ყველამ ამ ნაირად რომ შეუწყოს ხელი ეკკლესიებში წმინდა სანთლის ვაჭრობას, იმედია ბევრით იმატებს ეკკლესიების შემოსავალი, და მალე დადგება ის დროც, როცა ეკკლესიები შეიძლებენ სასულიერო სასწავლებლების შენახვას და კრებულს აღარ მოუნდება საკუთარის ვულის გაღება.

თელავის წმინდა სანთლის საწყობის გამგე კომიტეტის წევრი მასწ. ალ. ბარნოვი

## წერილი არგვეთიდგან

(შორაპნის მაზრა).

თითქმის ათი წელიწადი გადის ...ს აქეთ, რაც იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს თავჯდომარედ ქუთაისის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი დეკანოზი მამა გ. ცაგერეიშვილი დაინიშნა. იმერეთის ეპარქიის სამრევლო სკოლების მდგომარეობა მ. დეკ. ცაგერეიშვილის საბჭოს თავჯდომარედ დანიშვნამდის არა სასურველ სურათს წარმოადგენდა: მათ არც რიგიანი შენობა ჰქონდა და არც რიგიანი მასწავლებლები ჰყავდა; ერთის სიტყვით სამრევლო სკოლების არსებობა უფრო სახელით იცოდა საზოგადოებამ, ვიდრე საქმით. დეკან. გ. ცაგერეიშვილმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საქმის ასეთს გარემოებას და ამის გამო 1891—1892 წლებში ჩამოიარა და დაათვალიერა ეპარქიის საეკკლესიო სამრევლო სკოლების უმეტესი ნაწილი და რომლის დათვალიერება თითონ ვერ მოასწრო, მათი ნახვა დაავალა ეპარქიის საბჭოს წევრებს. ეპარქიის საეკკლესიო სკოლების დათვალიერების და პირის-პირ ნახვით მამა დეკანოზი დარწმუნდა, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებლები თავისს პირდაპირ მოვალეობის ასრულებაში მოუმზადებლობის გამო ძალიან სუსტნი არიან და მათ ესაჭიროებათ დახმარება. ამ აზრის განსახორციელებლად მისის თაოსნობით და მეცადინეობით 1895 წელს პირველად გაიმართა ქუთაისში ეპარქიის სამრევლო სკოლების მასწავლებლების კრება. კრებამ მასწავლებლებს დიდი სარგებლობა მოუტანა; გარდა იმისა, რომ ისინი გაეცნენ სწავლების სხვა და სხვა მეთოდს თავიანთის მოძმეების ნახვით და ერთმანეთის ჭირისა და ლხინის გაზიარებით, გამხნევდნენ და კიდევაც გაღონიერდნენ, და განახლებულის ძალ-ღონით შეუდგნენ მომავალ სამოსწავლო წელში თავისის მოვალეობის ასრულებას. 1895 წლიდგან დაწყებული ამა მდგომარე სამოსწავლო წლამდის თითქმის ყოველ ზაფხულობით იმართებოდა ქუთაისში სამრევლო სკოლების მასწავლებლებთათვის საზაფხულო კურსები მ. დეკ. ცაგერეიშვილის თაოსნობით და გულ მხურვალე მონაწილეობით.

არამც თუ მარტო მასწავლებლების გონებითად ამაღლებისათვის ზრუნავდა მ. დეკ. ცაგერეიშვილი, არამედ მათი ნივთიერი გაუმჯობესობაც სამრევლო სკოლების კეთილ დღეობისათვის, დიდ საგნად გაიხადა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ მასწავლებლები ნივთიერად უზრუნველ ეყო. ამ მცირე წერილში ყოვლად შეუძლებელია, რომ სავსებით აღინიშნოს და ღირსეულად დააფასოს კაცმა დეკ. ცაგერეიშვილის ათი წლის უსასყიდლო შრომა და ღვაწლი სამრევლო სკოლების და მათი მასწავლებლების კეთილ დღეობისათვის; მხოლოდ იმას კი ვიტყვი, რომ მამა ცაგერეიშვილის სახელს დიდხანს არ დაივიწყებენ იმერეთის ეპარქიის ეხლანდელი საეკკლესიო სამრევლო სკოლების მასწავლებლები, რომლებისათვისაც იგი ისე ზრუნავდა, როგორც კეთილი მამა თავისი შვილებისათვის. აგრეთვე არ დაივიწყებს მისს ღვაწლს დაბა საჩხერე და სოფელი ალისუბანი, სადაც მისის მეცადინეობით პირველში დაარსდა ორ კლასიანი სამრევლო სკოლა, ხოლო მეორეში მეორე კლასიანი ახალი ტიპის სამრევლო სკოლა. ჩვენ, სამრევლო სკოლის მასწავლებლებს, სრული იმედი გვქონდა, რომ ჩვენს საყვარელს უფროსს და მამას დეკ. გ. ცაგერეიშვილს სამრევლო სკოლებში უსასყიდლო შრომა ჯერ კიდევ დიდხანს არ მოსწყინდებოდა, მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა და ამა წლის პირველ მაისიდგან ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს თავმჯდომარეობის თანამდებობას თავი დაანება და ყველანი მითი დაგვალონა და დაგვაობლა.

მ. ბუაჩიძე.

*) თელავის მაზრის სამღვდელოებმა სასახელოდ უნდა მოგახსენოთ, წელს გაცილებით შარშანდელზედ მეტს წმინდა სანთელს იბარებენ.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. ღები, (ზემო რაჭა). ივნისის შუა რიცხვებში ს. ღებს ეწვია ერთი ვიღაც გაიძვერა მამისონელი ოსი, რომელიც მკითხაობას შეუდგა აქ. უმეცარ მთის ხალხში ბევრი თაყვანის-მცემელი აღმოუჩნდა მას: კაცი და დედაკაცი, დიდი და პატარა ჩიტის გუნდივით ედებიან გაიძვერა მკითხავს. რომ ჰკითხოთ, თუ სად, ან ვისგან შეუსწავლია მკითხაობა, აი რას გიამბობთ თავისის თარჯიმანის პირით: „უწინ მე მეკიტრნე ვიყავი. ამ რამდენისამე წლის წინად, ღამით, როდესაც მარტოდ-მარტო ვიყავი დუქანში, კარს მომადგნენ ცხენოსნები და დამიძახეს: ზაურბეგ, გამოგვხედე. მეც ავდექი, ჩავიცვი და გარედ გავედი. უცებ დამეში თვალ-წინ წარმომიდგა ოთხი თავშიშველა ნათლით შემოსილი ცხენოსანი, რომელთაგანაც ერთი იყო წმ. გიორგი, მეორე წმ. ელია და ორიც ანგელოზები—მიქელი და გაბრიელი. მათ მითხრეს: ზაურბეგ, გასარებთ ღვთის ბრძანებას, შენ მეკიტნე აღარ უნდა იყო; ღმერთი გაძლევს ნიჭს; უნდა იქმნე გამგნე ყოველისა, რაც-კი რამ მოხდება ცასა და ქვეყანაზე. ზეციურნი ანგელოზნი იქმნებიან შენი შემწენი და ემბაგონი დაგემონებიან. ნიშნად ამა ჩვენი ბრძანებისა დღეიდგან შენ უქუდოთ უნდა იაროო". მკითხავი მართლაც სულ უქუდოთ დატანტალებს. მას მზის ჩასვლის დრო აქვს დანიშნული სამოქმედოდ. მისი სიტყვით, ამ დროს ეცხადებიან ანგელოზები და უჩვენებენ, თუ ვის რა მომავალი მოელის—გაშორებანი თუ დახსნება, სიმდიდრე თუ სიღარიბე, სიკვდილი თუ სიცოცხლე და სხვ. მკითხაობის დროს ის დგება შუა აღაგას ხალხში და ვითომ მირჯვარს იწერს, გულზე ხელის ფათურით ტრიალებს ცახრუტივით და დუდუნებს რაღაც სიტყვებს ოსურად. ვის ხაზინის აღმოჩენას უქადის, ვის ავადმყოფის მორჩენას ჰპირდება, ვის ეუბნება—გაყიშვილს შეგძენო, ვის რასა და ვის რას.

გაიგო თუ არა მრევლის მღვდელმა ეს ამბავი, შეაჩვენა გაიძვერა მკითხავი და სთხოვა აქაურ მამასახლისს, ხალხის მატყუარა ოსი შეთოკილი წარედგინა მაზრის უფროსისათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, მამასახლისმაც მკითხავის თაყვანისმცემლობა აღიარა და ოსი ისევ თავისუფლად სთესს ღვარძლს გულუბრყვილო ხალხში.

ივნისის 23 აქ დიდი საცოდაობა მოხდა: სამარგალიდგან შინისაკენ მომავალ დედაკაცებს დაზარებოდათ ხიდზე მოვლა და მოსდომოდნენ მდ. რიონს ფონში გამოსასვლელად. რადგან რიონი საღამოზედ მოდიდებული იყო, ამისათვის დედაკაცთა უმეტესობას ისევ ხიდზე მოვლა განეზრახა, მაგრამ ორს, ჯანით სავსე ახალგაზრდა პატარძალს აეხირებინა წყალში გასვლა. ზურგზე მოკიდებულ მძიმე გიდლებით, ხელიხელ გაბმული პატარძლები შემოსულიყვნენ ატოკებულ რიონში, რომელსაც ორივე მოეტაცნა. ერთი მათგანი წყალს ისევ ნაპირზე გაუგდო და გადარჩენილიყო დარჩობას, მეორე პატარძლისთვის კი, რომელსაც სოფლის თვალ გოგონას ეძახდნენ, წყალს გრძელი კაბა ფეხებზე მოეხვია, გრძელი თმით ხელები შეებორკა და დაერჩო.

აქაურ სასაფლაოზე აღარ არის სადსარ მიცვალებულის დასაფლავებისა. თითოეულ სამარის გათხრაზე სულ ახალი და განუხრწნელი გვამი ამოდის. დიდი ხანია ნაბრძანები აქვს მთავრობისაგან აქაურ მამასახლისს, რომ ამ სოფელს ახალი სასაფლაო მოაპოვებინოს, მაგრამ დღესაც მიყრუებულია ეს საქმე.

რივენისთაველი

# რუსეთი

— ამ ჟამად სასწავლებლებში მოსწავლეების ავადმყოფობას დიდ ყურადღებას აქცევენ. თითქმის ყველა სასწავლებელს საკუთარი მკურნალი ჰყავს. ნაკლები ყურადღებაა მიქცეული მხოლოდ კბილის ავადმყოფობაზედ. ეხლა ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ეს საქმეც კარგად მოაწყონ. ამ საგნის გამოსარკვევად შემდგარა პეტერბურგში განსაკუთრებული კომისია.

— მთავრობა ამ ბოლოს დროს მეტ-ყურადღებას აქცევს და აარსებს საშუალო და დაბალ სატეხნიკო სასწავლებლებს. ამ ცოტა ხანში რამდენიმე ახალი ასეთი სასწავლებელი იქმნა დაარსებული და ეხლა, როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, მთავრობამ რამდენიმე ახალის სასწავლებლის დაარსების ნება კიდევ დართო: ქ. ვილნოში—საშუალო სატეხნიკო და საქიმიო; მაიკოფში—სამექანიკო და სატეხნიკო; ტოტმში—სახელოსნო სკოლა; მარიუპოლში—სამექანიკო-სატეხნიკო; ელაბუგში—სახელოსნო სკოლა და სხვა.

— ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში თხოვნების მიღება იმათგან, ვინც იქ აპირობს შესვლას, დაიწყობა 15 ივლისიდგან და გასტანს 10 აგვისტომდე.

— კიევის პოლიტეხნიკუმში ლექციების კითხვა დაიწყობა პირველ სექტემბრიდგან. პირველ კურსზედ შემდეგი ვაკანსიებია: სამექანიკო განყოფილებაზედ—98, საქიმიკოსზედ—59, საინჟინეროზედ—86, სასოფლო მეურნეობაზედ—78. იმ შემთხვევაში, თუ შესვლის მსურველთა რიცხვი იმაზედ ნაკლები იქმნება, რაც ვაკანსიაა, ყველას გამოუცდელად მიიღებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში საკონკურსო ეგზამენები იქმნება მათემატიკასა, ფიზიკასა და რუსულ ენაში. ეგზამენები დაიწყობა 16 აგვისტოსს. თავისუფალ ყურისმგდებლებს არ მიიღებენ პოლიტეხნიკუმში.

— უწმ. სინოდმა, გაზეთ „Новости"-ს სიტყვით, განკარგულება მოახდინა, რომ სასულიერო სემინარიებში საეკკლესიო გალობას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. ამიერიდგან გალობა ერთ უმთავრესს საგნად იქმნება ჩათვლილი და ვინც ამ საგანში სუსტი აღმოჩნდება, იგი შემდეგ კლასში ვერ გადავა.

— „С. О."-ს სიტყვით პეტერბურგში არსდება ქალთა არტელი. აარსებენ ამ არტელს ქ-ნნი ბაჟენა და ხლიუდზინსკაია. არტელს საკუთარი თანხა ექმნება,—100,000 მანეთი. წესდება არტელისა უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ დასამტკიცებლად.

— უმაღლესის ბრძანების ძალით, როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, ამა 1899 წლის მთელს რუსეთის იმპერიაში ჯარის-კაცად გაყვანილ უნდა იქმნას 291,000 კაცი.

# უცხოეთი

**ინგლისი.** უკვე დასრულდა ინგლისის პარლამენტის სესსია და გაზეთები შეუდგნენ კიდეც იმის განხილვა-გამორკვევას, თუ რა გააკეთა ამ სესსიამ და რამდენად ნაყოფიერი იყო იგი ინგლისისათვის. ამ მხრივ ინგლისის კონსერვატორულ მთავრობისათვის ბევრს სასარგებლოს და სანუგეშოს ვერაფერსა ვკითხულობთ: თითქმის ყველა გაზეთები ერთხმად აღიარებენ, რომ აწინდელმა საპარლამენტო სესსიამ მეტად უნაყოფოდ და უსარგებლოდ ჩაიარა. მართლაც და ამ სესსიაში მთავრობის მიერ თითქმის არც ერთი პროგრესიული ბილლი არ იქმნა შეტანილი. ერთად ერთი ღირს-საყურადღებო ბილლი (ეს ბილლი შეეხებოდა ბავშვების მუშაობის შემცირებას ქარხნებში) შეიტანა რობსონმა, და იმასაც მთავრობა მტრულად მიეგება. მაშ რა გააკეთა სახელმწიფოსათვის მთელის ოთხის წლის განმავლობაში ამ კონსერვატიულმა მთავრობამ? თითქმის არაფერი. მთელი თავისი ძალ-ღონე და დრო მან შეალია მიწერ-მოწერას სუდანის საქმის გამო, რკინის გზების, ტელეფონების წყლის მილების უმისოდაც მდიდარ საზოგადოებათათვის მონოპოლიების მოპოებას და მუქარას ტრანსვაალის მთავრობის მიმართ. დასასრულ თავის მოღვაწეობა იმათი დაგვირგვინა, რომ ახალი ბილლი შეიტანა, რომლის წყალობითაც სამღვდელოებას ორჯელ ნაკლები გადასახადი უნდა გარდახდეს, ვიდრე დღემდის ჰხდებოდა. თუ რამდენად შესაწყნარი და შესაფერია ეს ბილლი, საკმაოა მოვიხსენიოთ ის გარემოება, რომ არც ერთის სახელმწიფოს სამღვდელოება არ არის ისეთი მდიდარი, როგორიც ინგლისისა.

თავისს გამგებლობის პირველი სამი წელიწადი აწინდელ კონსერვატორულ მთავრობისათვის მეტად სამწუხარო და შავ-ბნელი იყო: დიპლომატიურ დამარცხებას თავი ვეღარ აარიდა. ამის წყალობით ნიადაგი ეცლებოდა და ხალხში ნდობა ეკარგებოდა. რათა ეს ნდობა აღედგინა, მთავრობამ ხერხს მიჰმართა და სხვა-და-სხვა რეფორმების შესახებ გააბა ლაპარაკი. ასე მიდიოდა საქმე წრეკანდელამდე და, უეჭველად, ცუდად დასრულდებოდა მთავრობისათვის, რომ სუდანის გამარჯვებას დროზედ არ მოესწრო და მთავრობა გაჭირვებისაგან არ გამოეყვანა. ამ გამარჯვებამ მთავრობა მართლაც ხელ-ახლა გააღონიერა, ხელ-ახლა ამაყად დააწყებინა გარემო ცქერა. მაგრამ ინგლისელნი, გარდა იმისა, რომ ჭკვიანი ხალხია, პოლიტიკურადაც დიდად არიან განვითარებულნი, და განვითარების წყალობით კარგად ხედვენ, რომ აწინდელი კონსერვატორული მთავრობა არამც თუ აფერხებს წინ-მსვლელობას, არამედ ხელოვნურად სცდილობს ცხოვრების ჩარხი უკუღმა დაატრიალოს. ინგლისელთა უმრავლესობას სძულს და ამ გვარი რამეები-კი არ აინტერესებს,—ეს პოლიტიკანების საყვარელი სალაპარაკო საგანია,—მათ შინაურ ცხოვრების გაუმჯობესება და სოციალურ პირობათა განკარგება სწყურიათ. და აი აქ-კი უკან უკან იწევს აწინდელი მთავრობა. ყველა ამის გამო გაზეთები ერთხმად გაიძახიან, რომ მომავალ არჩევანების დროს კონსერვატორულ დასის დამარცხება აუცილებელია და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეს უეჭველად ლიბერალები ჩაიგდებენ ხელთაო.

**ბელგია.** გაზ. „კურიერს" სწერენ ბრიუსელიდგან: ამ უკანასკნელ დღეებში, მთავრობის ახალ პროექტის გამო, ხალხის მოძრაობა მთავრობის წინააღმდეგ დღით-დღე იზრდებოდა. სახალხო სიმღერად გარდაიქცა მარსელიოზა. თოფ-იარაღების მაღაზიები დიდ სამსახურს უწევდნენ მებრძოლთ. მანიფესტანციები მთელ სამრეწველო ბელგიას მოედო. მანიფესტანტები აღფრთოვანებით ეგებებოდნენ აგიტატორთა სიტყვებს. ხალხს ქუჩაზედ იწვევდნენ მის უფლებათა დასაცველად არა...

...სრტო სოციალისტთა აგიტატორები, არამედ ბევრი ბურჟუაც-კი საზოგადოებრივის წეს-წყობილებისა. ხშირად ჟანდარმ-კაცები ღამით ბრიუსელის სხვა-და-სხვა ადგილებიდგან დაბრუნების დროს, სადაც ისინი წესიერების დასაცველად იდგნენ, მარსელიოზას შემოსძახებდნენ ხოლმე. ერთს დიდ მიტინგზედ სამხედრო მუნდირიანმა ორატორმა ლაპარაკი დაიწყო შემდეგის ღრმად მნიშვნელოვან სიტყვებით: „დღეს მე საზოგადოებრივის წეს წყობილების დასაცველად მომიწვიეს, მაგრამ მე-კი აქ ხალხის უფლებათა დასაცველად მოვედი“... მუშათა დასს შეუერთდა „ჟანდარმ-კაცებად ნამყოფთა“ ჯგუფი, რომელმაც საგნად გაიხადა ჟანდარმთა ულმობელ სისასტიკესთან ბრძოლა. პარლამენტმა რამდენიმე დღით მოქმედება შესწყვიტა მემარცხენეთაგან სასტიკ იერიშის მიტანის გამო... მუშათა დასმა მზადება დაიწყო საყოველთაო გაფიცვის მოსახდენად და ამ საშინაოში, ასე წარმოიდგინეთ, მონაწილეობა მიიღეს ზოგიერთმა მეჭარხლეებმაც-კი, რომელთაც ბრიუსელში, მუშათა დასის თხოვნით, დაჰხურეს თავიანთი ქარხნები იმ დღეს, როცა მთავრობის პროექტი უნდა განხილულიყო... თუ სხვა-და სხვა ჯურის დემოკრატები ასეთზედ იყვნენ დამყარებულნი, სამაგიეროდ კონსერვატორებმა მეფეს მიჰმართეს და სთხოვეს, შეაჩერეთ საარჩევანო პროექტიო. ყველა მემარცხენენი შეერთდნენ რეაქციონერთა სამინისტროსთან საბრძოლველად. სამინისტრომ დაუთმო საზოგადო სურვილს და უკან წაიღო თავისი პროექტი. ერი მხიარულად დღესასწაულობს თავისს გამარჯვებას. პარლამენტში შესდგა კომისია 15 კაცისაგან საარჩევნო ცვლილების ახალ პროექტის შესამუშავებლად... დასასრულ, კორესპონდენტი შემდეგს სასაცილო ამბებს გადმოგვცემს. ერთ დღეს დილით ერთის კათოლიკეთა ინსტიტუტის მოსწავლენი მიწვეულ იქმნენ ეკლესიაში ღვთის მიმართ ლოცვების აღსავლენად, „რათა სოციალისტები ჭკვიანად მოქცეულიყვნენ“. ორმა ყველაზე უფრო გულმოდგინე მოსწავლემ მედლები მიიღო და სოციალისტები მართლაც ჭკვიანად იქცეოდნენ: ალბად მათი მანიფესტაციები ამ ლოცვების მეოხებით იყო მშვიდობიანი! აი კიდევ მეორე ამბავი: ერთი ჟანდარმი ცხენით მიუახლოვდა დეპუტატს დესტრეს, რომელიც წყნარად იდგა პარლამენტის მახლობლად, დაუქნია მას ხმალი და კინაღამ დასჭრა. გამოძიების წინ ჟანდარმმა ასეთი ჩვენება მისცა სიტყვა-სიტყვით: ჩემს წინ მეოთხე კაცი მარტო იდგა პალატის წინ; ის არ ლაპარაკობდა და არ ინძრეოდა იმ წუთს, როცა ჩვენ მის მახლობლად მივდიოდით, მაგრამ ის მომჩერებოდა მე და ეს შეურაცხყოფად მივიჩნიე ჩემის თანამდებობის ასრულების დროს. ამასთან სამხედრო წესი გვიკრძალავს ომის დროს მტრის იმდენად ახლოს მომვებას, რომ მას შეეძლოს ცხენს აღვირში ხელი მოჰკიდოს. ასე იყო იმ კაცის საქმეც. მე არ ვიცოდი, რომ პარლამენტის წინ ვიდექ, არ ვიცოდი, რომ ის კაცები, რომელნიც პარლამენტის წინ იდგნენ, დეპუტატები და ჟურნალისტები იყვნენ, რომელთაც უფლება ჰქონდათ იქ მდგარიყვნენ. მე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ის კაცი მტერი იყო. დეპუტატმა დესტრემ ითხოვა ჟანდარმის განთავისუფლება სასჯელისაგან. დეპუტატის აზრით, პასუხის გება ამ შემთხვევის გამო უნდა მოეთხოვოს არა ჟანდარმებს, არამედ იმათ, ვინც მათ ასეთ საზარელ ფანატიკურ უმეცრებაში ზრდიდნენ.

## დამჯვირდა

ვინც თავისის თავმოყვარეობით ხმამაღლა იქადის, იგი თავ-მოყვარეობას მოკლებულია.

ბ. დ—ლი

* * *

სვალ არა გჭამ პურსა, თუ დღეს მისი სასყიდელი არა მოიგე და ერთი რაიმე კეთილი საქმე არა ჰქმენ.

ლასურიძე

* * *

ჭეშმარიტ სარწმუნოებათა შინა თქვენთა სათნოება, სათნოებასა შინა მეცნიერება, მეცნიერებასა შინა მარხვა, მარხვასა შინა მოთმინება, მოთმინებასა შინა ღვთის-მსახურება, ღვთის მსახურებასა შინა ძმათ-მოყვარება, ძმათ-მოყვარებასა შინა სიყვარული.

წმ. პიო

## ჟურნალ გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

როგორც გაზეთები იუწყებიან ძალიან ჭკვიანად მოქცეულა ლონდონის ერთის თეატრის „პრინცესს თეატრის“ დირექტორი. ამ ორის წლის წინად ლონდონში წარმოუდგენიათ ერთი პიესა, რომელსაც სახელად „ერთი უკეთესთაგანი“ ერქვა. პიესა ბევრს არაფერს წარმოადგენს. გმირად გამოყვანილია სამხედრო სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ დასჯილი ჯარის-კაცი, რომლის სიმართლე, ერთის დედაკაცის წყალობით, მხოლოდ მეხუთე მოქმედებაში აშკარავდება. თუმცა ამ პიესაში ავტორს დრეიფუსი ჰყავნდა მხედველობაში, მაგრამ მაშინ ლონდონელთა ყურადღება ვერ მიიქცია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ დრეიფუსის უდანაშაულობა მაშინ ჯერ დამტკიცებული არ იყო, მეორე კიდევ იმიტომ, რომ დრეიფუსის საქმეს ლონდონელნი მაშინ მაგდენ ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთის სიტყვით, პიესამ შეუმჩნევლად ჩაიარა. მაგრამ დრონი იცვალნენ და ზემოხსენებულ თეატრის დირექტორსაც ხელ-ახლა დაუდგამს ეს პიესა, მხოლოდ სახელი გამოუცვლია და დაურქმევია „დრეიფუსის საქმე“. პირველსავე წარმოდგენას აუარებელი ხალხი დასწრებია. მას აქეთ პიესას ყოველ-დღე თამაშობენ და ყოველ-დღევე თეატრი სავსეა თურმე ხალხით. ამ პიესის წყალობით გაკოტრებულ დირექტორსა და არტისტებს ჯიბეები დაუტენიათ. ტყუილად-კი არ არის ნათქვამი: „დრონი მეფობენო“!..

* * *

იმავე ლონდონის ერთ თეატრში ამას წინად წიმოუდგენიათ ერთი პიესა, სახელად „როდესაც ლონდონს სძინავს“. იმ დროს, როდესაც პიესის გმირი თავისს მიერ მოტყუებულ ახალგაზრდა ქალს აჩრჩობდა, ერთი მაყურებელი ამ სურათით ისე აღელვებულა, რომ წამომხტარა და თავისი უშველებელი, ძალზედ გალესილი დანა არტისტისათვის უსროლია სცენაზედ. დანა არტისტის მაგიერ კაპელმეისტერს მოჰხვედრია და, საბედნიეროდ, მხოლოდ სუმბუქად დაუჭრია. დამნაშავე ასეთის საქციელისათვის სამართალში აღარ მიუციათ, მხოლოდ დანა წაურთმევიათ და მუზეიში შეუნახავთ.

* * *

ამ რამდენისამე დღის წინად რუმინიაში სასამართლოს გაურჩევია ერთი მეტად საყურადღებო საქმე. საბრალმდებლო სკამებზედ ისხდნენ რუმინელი გლეხები—კაცები და ქალები. კაცებს თავიანთის ცოლების, ხოლო ქალებს თავიანთის ქმრების მოწამვლა ჰბრალდებოდათ. როგორც სასამართლოში გამოირკვა, რუმინელთა შორის ამ ბოლოს დროს ძალიან „მოდაში“ შესულა ქმრების და ცოლების მოწამვლა. ისეთ ჩვეულებრივ საქმედ გარდაიქცა თურმე მოწამვლა, რომ ხშირად ბაზარშიაც-კი ლაპარაკობდნენ ამის შესახებ. ყველამ, სოფლის მოხელეებმაც-კი, კარგად იცოდნენ ვის ვინ მოუწამლავს, მაგრამ ჩვეულებრივ საქმედ მიაჩნდათ და ყურადღებას არავინ აქცევდა, ვიდრე უმაღლესმა მთავრობამ არ შეიტყო ეს. ასეთივე საქმე ამ ორის წლის წინად უნგრელებსაც მოუხდენიათ, მხოლოდ იქ ჯერ აზღვევდა ქმარი ცოლს ან ცოლი ქმარს და მერე საიქიოსისტუმრებდა, რათა დაზღვევ საზოგადოებიდგან ხვედრი ფული მიეღო. რუმინელ გლეხებს ისე, „სიყვარულისთვის“ უსტუმრებიათ საიქიოს თავიანთი ქმრები და ცოლები. მთავრობა სასტიკად შესდგომია ამ საქმის გამოძიებას. 3—5 წლის დასაფლავებული გვამები ამოუთხრიათ და ბუდა-პეშტის ლაბორატორიაში გაუგზავნიათ გასაშინჯად. თითქმის ყველა გვამში დარიშხანა უნახავთ. სასამართლოს დამნაშავედ უცვნია თერთმეტი ქალი და ამდენივე კაცი.

* * *

სწორედ გასაკვირველი და უცნაური ხალხია ეს ამერიკელები! ისე დღე არ გავა, რომ უცნაური არ გამოიგონონ რა! აი ეხლა კიდევ აზრადა აქვთ თურმე „ულამაზესს ქალების მოძრავი გამოფენა“ გამართონ. ამისათვის უკვე შემდგარა განსაკუთრებული კომიტეტი, რომელიც მთელის ამერიკის ლამაზ ქალებს იწვევს ამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღონ. სულ გამოფენისათვის 100 ქალია საჭირო. მსურველთ თავიანთი სურათები უნდა გაუგზავნონ კომიტეტს. შემდეგ, როდესაც სრული კომპლექტი შესდგება, უნდა ერთს ადგილას შეიკრიბნენ, სადაც რამდენიმე კაცი, „მსაჯულებად“ წოდებულნი, გასინჯავენ მათ და გამოიკვლევენ, მართლა ლამაზები არიან თუ არა. როდესაც ამ რიგად ასს ქალს ამოარჩევენ, კომიტეტი ერთის ქალაქიდგან მეორეში გადავა და გამოფენას გამართავს ლამაზის ქალებისას. პირველი გამოფენა ქალაქ ფილადელფიაში გაიმართება.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 ივლისი.

**პეტერბურგი.** დედოფალი იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული, დიდნი მთავარნი ალექსი ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძე 4 ივლისს პეტერბურგიდგან ბათუმში წაბრძანდნენ ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის გიორგი ალექსანდრეს ძის ცხედარის დასახვედრად.

**პარიჟი.** თეატრში დერულედმა სიტყვა წარმოსთქვა საპლებისციტარო რესპუბლიკის საჭიროების შესახებ, ამასთან სასტიკად გაჰკიცხა საპარლამენტო რეჟიმი, მთავრობა და იმის საგარეო პოლიტიკა. საზოგადოებამ რამდენჯერმე ტაში დაუკრა ორატორს. არავითარი ინცინდენტი არ მომხდარა.

**პარიჟი.** „Journal des Debats“-ში დაბეჭდილია გძელი წერილი ღვთივ განსვენებულის მემკვიდრე ცესარევიჩის შესახებ. გაზეთი აქებს განსვენებულს და დასასრულ ამბობს: „ნება მისცეს იმისმა მშობელმა დედოფალმა იმპერატრიცამ საფრანგეთს, რომელიც ცესარევიჩს უყვარდა, შეუერთოს თავისი ცრემლები ცრემლებს რუსეთისას, რომელსაც იგი აღმერთებდა“.

**ცინტენგოფი.** დღეს, მრავალის ხალხისა და მოსკოვისა, პეტერბურგისა, რიგისა და პერნოვიდგან მოსულის სტუმრების თანდასწრებით, ყოვლად სამღვდელო აგაფანგელმა აკურთხა მართლ-მადიდებელთა ტაძარი, აგებული ცინტენგოფის მანუფაქტურის მუშებისათვის.

6 ივლისი

**პეტერბურგი.** დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე ცარსკოე სელოში დაბრუნდა.

დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე საზღვარ-გარეთ წავიდა ჩერნოგორიის მემკვიდრე პრინცის დანიილის ქორწინებაზედ დასასწრებლად.

**პარიჟი.** მაიორი მარშანი ჩარიცხულ იქმნა საზღვაოსნო ჯარის მე 4 რაზმში, რომელიც ტულონშია.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებ ყველას, რომლებმაც თავიანთი მეცადინეობით და ენერგიულ თანაგრძნობით შემწეობა აღმოუჩინეს ოზურგეთის სამრევლო საქალებო სკოლას:

1) ქ-ნს ელენე (ელიკო) გიორგის ასულს წერეთელს, რომელმაც შეჰკრიბა ამ სკოლის სასარგებლოდ ოცი მანეთი ფული სხვა და-სხვა პირებისაგან, რომლებთაც თითოეულად უღრმეს მადლობას მოვახსენებ კეთილი მიზნის თანაგრძნობისათვის;

2) ქ-ნს ვენერა სიოს ასულს ბერიძეს, რომელმაც შვიდი მანეთი და თუთხმეტი შაური შეჰკრიბა ამავე სკოლის სასარგებლოთ.

3) ექვთიმე სიმონის ძეს თაყაიშვილს და ნიკო გოგიტიძეს, რომლებმაც ხუთ-ხუთი მანეთი შემოსწირეს.

ოზურგეთის სამრევლო საქალებო სკოლის მზრუნველ კომიტეტის მინდობილობით

ნიკო თავდგირიძე

---

უღრმესს მადლობას ვუცხადებ კონსტანტინე ხუტუაძე მახარაძეს, რომელმაც ახლად აგებულ ქვიეთის მთავარ-ანგელოზის ეკლესიას შემოსწირა ერთი წყვილი ფრაჟეს შანდალი თავისის დიდრონი სანთლებით და ერთი ფრაჟისავე საცეცხლური, ... ივანე გიორგის ძე თავართქილაძეს, რომელმაც ამავე ეკლესიას შემოსწირა ერთი ტრაპეზზედ დასასვენებელი ჯვარი.

მღვდელი სერაფიონ კალანდაძე

—

მადლობას ვუცხადებ სილიბისტრო და არსენ სიკოს ძეთ ვადაჭკორიებს, რომლებმაც სამრევლო სკოლის სახლის ფულიდგან დაუთმეს სკოლას 60 მან.

სოფლის ვანის მაცხოვრის ეკკლესიის მღვდელი მიხაილ ჩიჩუა


# განცხადებანი

დაიბეჭდა ¿ იყიდება

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ფასი 50 კაპ.

„Грѣхи Молодости“

ПОУЧИТЕЛЬНОЕ СЛОВО КО ВСѢМЪ, РАЗСТРОИВШИМЪ СВОЮ НЕРВНУЮ СИСТЕМУ ОНАНИЗМОМЪ И РАСПУТСТВОМЪ.

Соч. Д-ра ЛОРЕНЦЪ.

Русское изданіе Д-ра Б—а.

цѣна 1 руб.

Эта полезная книга содержитъ множество совѣтовъ, какъ избавиться страдающимъ отъ вредныхъ послѣдствій вышеозначенныхъ пороковъ и возстановить разстроенныя силы и здоровье. Книга эта разрѣшена Москов. Цензурнымъ Комитетомъ.

Складъ изданія только у ОТТО АСПЕРГЕРА ВЪ ЛЕЙПЦИГѢ (Саксонія). Иногородные за почтов. пересылку не платятъ.

(12—მ.—ბ)

1899

# „მოამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

**გამოვა იმავე პროგრამით**

მხოლოდ ჟურნალის კრცელის პროგრამის სავსებით შესასრულებლად მომდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორიგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობის: ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . | **10** მან. | **6** მან. | **4** მან. |
| საზღვარ გარედ . . . . . | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—**4** მან., 1 აპრილამდე—**3** მან. და 1 სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აილონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაუთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „**Моамбе**“.

რედაქციამ მოსახერხებლადა სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და აგვისტოში.

(20—6.—19)


Дозволено цензурою, Тифлисъ 6-го Іюля 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.